საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:ბ70. 7023118001

თარიღი:28/04/2023

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (განმეორებით) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 118-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N699 დადგენილების, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N54 36 განკარგულების ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ", ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 მარტის N54 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის N25 განკარგულების ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ" საფუძველზე ვბრძანებ:

1. განმეორებით გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი და პრივატიზებული იქნას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ზომის მეორადი რკინა-ბეტონის კონსტრუქცია, 4 ცალი ბეტონის განაპირა მალის ფილა (L=18მ) და 6 ცალი ბეტონის შუალედური მალის ფილა (L= 16 მ).

2. ელ-აუქციონის დაწყების დროდ განისაზღვროს 2023 წლის 5 მაისის 15:00 სთ და დასრულების დროდ ამავე წლის 16 მაისი 15:00 სთ.

3. საპრივატიზებო ქონების საწყისი საფასური განისაზღვროს, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე დადგენილი ქონების საბაზრო (საერთო) ღირებულების (8120 ლარი) 30%-ით - 2436 ლარი, ,,ბე" და ,,ბიჯი" - საწყისი საფასურის 10 -10 %-ით.

4. ბრძანება გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და სააუქციონო კომისიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, დ.აღმაშენებლის ქუჩა N3).

ლევანი ივანაშვილი

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი